

28/02/2024



MES 4 24 0000232637

**სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი სხდომის ჩატარების თარიღი: **27/02/2024**

**სხდომის დაწყების დრო:** 16:05 სთ  
**სხდომის დამთავრების დრო:** 16:15 სთ  
**სხდომის თავმჯდომარე** - კახაბერ ფარცვანია  
**სხდომის მდივანი** - ანა საბახტარიშვილი

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

**საბჭოს წევრები:**

**კახაბერ ფარცვანია** - შპს "თანამედროვე განათლების აკადემიის" ფრანგული ენის მასწავლებელი, სხდომის თავმჯდომარე;  
**ანა საბახტარიშვილი** - ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;  
**გივი გაგნიძე** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის "ახალი სკოლის მოდელის მხარდამჭერი" პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი, საბჭოს წევრი;  
**აკაკი ხელაძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, მენეჯმენტი-ბიზნესის მიმართულებით, საბჭოს წევრი;  
**არჩილ სუმბაძე** ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შპს "ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი, საბჭოს წევრი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში- ცენტრი)**

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	მზია ყანჩელი	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	ქეთი მუთიძე	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 103 -ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom - ის გამოყენებით.

დებულების 99-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა, საბჭოს წევრი - კახაბერ ფარცვანია.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების 99-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილი იყო, რადგან მას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

### **სხდომის დღის წესრიგი:**

1. სპს სენაკის ქართულ - ევროპული სკოლა N1- ის №180551 სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ საკითხის განხილვა

### **საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:**

✓ არა

### **ზეპირი მოსმენა:**

1. სპს სენაკის ქართულ - ევროპული სკოლა N1- ის №180551 სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სააპელაციო საჩივარს და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ სპს სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1-ის 2024 წლის 20 თებერვალს წარმოდგენილ №180551 სააპელაციო საჩივარსა და №183171 წერილს.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარი თქმის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, საჩივრის მიღების წინაპირობები განსაზღვრული იყო დებულების 97-ე მუხლის პირველ პუნქტში. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებდა დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი მიიღებოდა განსახილველად.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაწესებულებიდან გამოითხოვა ინფორმაცია, ხომ არ ჰქონდა მიმართული საქალაქო სასამართლოსთვის, რის შესახებაც, დაწესებულებამ წერილობით დაადასტურა, რომ მათ მხოლოდ სააპელაციო საბჭოში ჰქონდათ გადაწყვეტილება გასაჩივრებული.

სპს სენაკის ქართულ - ევროპული სკოლა N1-ის სააპელაციო საჩივარი შეეხებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას, რომლის

მიხედვითაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 25 იანვრის N72273 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა ავტორიზაციაზე.

სააპელაციო საბჭოს წევრებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი და თანდართული დოკუმენტაცია დებულების 97-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მიმართებით და დაადგინეს, რომ საჩივარი შეესაბამებოდა დადგენილ მოთხოვნებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს სენაკის ქართულ - ევროპული სკოლა N1-ის მიერ წარმოდგენილი №180551 სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

**მომხრე-5**

**წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვეტილება:**

სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 97-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მიღებულ იქნა სპს სენაკის ქართულ - ევროპული სკოლა N1- ის №180551 სააპელაციო საჩივარი.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
მდივანი  
საბახტარიშვილი ანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
სხდომის თავმჯდომარე  
ფარცვანია კახაბერ

